საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა
№10 / 2014

საკრებულოებს „კარგი მმართველობის დეკლარაცია“ გადაეცათ

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა – „ინტელექტმა“ აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს „კარგი მმართველობის დეკლარაცია“ საზეიმოდ გადასცა. აღნიშნულ დეკლარაციას 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარობის კანდიდატებმა, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე (14 ივნისს) ხელი საჯაროდ მოაწერეს.

„კარგი მმართველობის დეკლარაციის“ თანახმად საკრებულოს წევრი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა; ჩამოაყალიბოს მოსახლეობის მომსახურების ეფექტური სისტემა; ხელი შეუწყოს თვითმმართველობის პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებას; ბიუჯეტის ფორმირების, დამტკიცების, განკარგვის პროცესები იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ეფუძნებოდეს მოსახლეობის რეალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს; ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

კანდიდატები, რომლებმაც „კარგი მმართველობის დეკლარაციას“ ხელი საჯაროდ მოაწერეს და მოსახლეობის წინაშე აღებული ვალდებულებები დეკლარაციაზე ხელმოწერით დაადასტურეს, ახლა საკრებულოების წევრები არიან: თავმჯდომარეები, მოადგილეები, კომისიისა თუ ფრაქციის ხელმძღვანელები, რიგითი წევრები (თუმცა ყველა ხელმომწერი საკრებულოში ვერ მოვიდა)... ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა – „ინტელექტმა“ „კარგი მმართველობის დეკლარაცია“ სწორედ მათ გადასცა, რათა ზედ დაფიქსირებული ხელწერა თითოეულ მათგანს ყოველდღიურად აფიხლებდეს და ახსენებდეს თავის პირობას, რაც ამომრჩევლის წინაშე წინასაარჩევნოდ დადო.

„კარგი მმართველობის დეკლარაციას“ შეუერთდა და საჯაროდ ხელი მოაწერა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ჯუმბულ ხოზრევანიძე. იგი მიიჩნევს, რომ მსგავსი პროექტები მუნიციპალიტეტების განვითარებას ხელს უწყობს და სურვილი აქვს არასამთავრობო ორგანიზაციები ხულოს მუნიციპალიტეტშიც შეიქმნას: „პროექტი – „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ძალიან კარგია. მოვუწოდებ სხვა ორგანიზაციებსაც გამოიჩინონ ყურადღება ამ კუთხით (თემების ჩართულობა თვითმმართველობის საკითხებში). დეპუტატმა, რომელიც საკრებულოში მოდის, უნდა იცოდეს თავისი მოვალეობები და ასევე მოსახლეობის მოთხოვნები. ეს დაეხმარება იყოს საკრებულოს ერთ-ერთი საუკეთესო წევრი და ამომრჩევლის ღირსეული წარმომადგენელი თვითმმართველობაში. შესაბამისად გამარტივებული იქნება თემებში არსებული პრობლემების პრიორიტეტების განსაზღვრა და მოგვარება. „კარგი მმართველობის დეკლარაციაზე“ ხელი იმისათვის მოვაწერე, რომ ერთხელ კიდევ დამეფიქსირებინა ჩემი პასუხისმგებლობა და მზაობა საკრებულოში მოსასვლელად. ვფიქრობ, დეკლარაციაზე ხელმოწერით უფრო მეტ ვალდებულებას იღებს დეპუტატი, იძულებულია კარგად შეასრულოს დანაპირები, იმიტომ, რომ შემდეგ შეახსენებენ დადებულ პირობას და მის ხელმოწერას. „ქართული ოცნების“ ჰქონდა თავისი წინასაარჩევნო პროგრამა და მე როგორც ერთმა რიგითმა წარმომადგენელმა, დეკლარაციაზე ხელმოწერით უფრო გავამყარე მათი განხორციელება.“

„როცა საკრებულოს წევრობა გადავწყვიტე, გააზრებული მქონდა თუ რა პასუხისმგებლობა უნდა ამელო ამომრჩეველის წინაშე. ამ დეკლარაციაზე ხელმოწერამ ორწმენა გამიმტკიცა და აღებული პასუხისმგებლობა გამიათკეცა. ეს არის დოკუმენტი, რომელიც ყოველ ნაბს შეგახსენებს იმ ვალდებულებას, რაც მოსახლეობის წინაშე საკრებულოს თითოეულ წევრს გააწნია. ვფიქრობ, დეკლარაციაზე დაფიქსირებული ხელწერა არ მოგვცემს მოდღენების საშუალებას და ხელს შეგვიწყობს, ვიყოთ უფრო ყურადღებიანი და საქმიანი. კარგი მმართველობა ნიშნავს იმასა, რომ ორიენტირებული უნდა ვიყოთ ხალხის ნება-სურვილზე,“ – აღნიშნა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა კანდიდატმა გელა აბაშიძემ.

„კარგი მმართველობის დეკლარაცია“ შემუშავებულია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ფარგლებში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს აჭარის რეგიონის ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტების თემების მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას თვითმმართველობის არსის, თვითმმართველობის ორგანოების არჩევის წესისა და ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით; თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალური და მართვის შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა.

„კარგი მმართველობის დეკლარაცია“ აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის საკრებულოში თვალსაჩინო ადგილას განთავსდება.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრიორიტეტი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მსგავსად სხვა საკრებულოებისა, პარტიათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ ქარცივაძე წინა მონვევის საკრებულოს წევრიც იყო. ახლა წინა და ახალი მონვევის საკრებულოებს შორის ასეთ პარალელს ავლებს: „წინა საკრებულო ძირითადად წარმოადგენდა „ნაციონალურ მოძრაობას“, სამი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ვიყავით. მაშინდელი საკრებულო, ფაქტობრივად, იმ დროისათვის რასაც მოისურვებდა ხელისუფლება, იმას გადაწყვეტდა, რამდენად სამართლიანი იყო, ამას არავინ უყურებდა. ჩვენ გვქონდა სერიოზული კითხვები, კამათი, მაგრამ ჩვენი ვერრასოდეს გაგვაქონდა. სამი სხვადასხვა პარტიის წევრი ვიყავით და ერთი აზრი არც ერთს არ გვქონდა. იმ მონვევის საკრებულოში ოპოზიციურ პარტიას თითქოს ჰქონდა თავისუფლება, მაგრამ საკითხის გატანა და მიღება შეუძლებელი იყო. დღეს უკვე რადიკალურად შეცვლილია მდგომარეობა. საკრებულო წარმოდგენილია ექვსი პარტიული სუბიექტით. 24 დეპუტატიდან 17 „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია. 9 მაჟორიტარიდან „ქართულმა ოცნებამ“ 8 გაიყვანა, ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი გავიდა. რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, სმი ნაცმოძრაობის წევრია, ერთი – ბურჯანაძე-დემოკრატების, ერთი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსის და ერთიც – ერთიანობის დარბაზის. ნებისმიერი საკითხი, რომელიც დაისმება ოპოზიციის მხრიდან, საკრებულოს სხდომაზე განვიხილავთ; თუ ის მისაღებია, ვითვალისწინებთ და მხარს ვუჭერთ. ამდენად განსხვავება დიდი მაშინდელ და ახლანდელ საკრებულოს შორის.“

საქმე, რომელიც წინა მონვევის საკრებულომ დაიწყო და ახალი მონვევის საკრებულო აგრძელებს, ქარცივაძის თქმით, ბევრია: „იმ საკრებულომ ბევრი საქმე დაიწყო, მაგრამ შედეგი არ მინახავს. თუნდაც დასაქმების მხვრივ. ეს იყო მათთვის პრიორიტეტი, მაგრამ შუახევის მუნიციპალიტეტში უმუშევართა პრობლემა ვერ მოგვარდა. ნელს ჩვენ უკვე სამასამდე ახალი დასაქმებული გვყავს. ისინი მუშაობენ თურქულ კომპანიაში, რომელიც შუახევში ჰესს აშენებს. ეს სერიოზულად წინგადადგმული ნაბიჯია, რომელიც ვერ განახორციელა წინა ხელისუფლებამ.“

აქვე დაგეგმილია წვენების დამამზადებელი ქარხნის აშენება. საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაციით, ამისათვის მინა გამოყოფილია და პროექტი მზადდება. ქარხანაში თვითმმართველობის ხელმძღვანელები რამდენიმე ათეული ადამიანის დასაქმებას ვარაუდობენ.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრიორიტეტი საკრებულოს, თავმჯდომარის თქმით, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა, რომელიც შიდა გზების მოწესრიგებას და სასმელი წყლით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. ნოდარ ქარცივაძეს ბევრი გეგმა აქვს და სურს მოსახლეობას თავი იმითაც დაამახსოვროს, რომ საზაფხულო იალაღების ელექტროფიკაცია მოახდინოს. „აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე დაგვპირდა იალაღების ელექტროფიკაციაში დახმარებას შუამთობის დღესასწაულზე და მისი იმედი გვაქვს. სამუშაოებს მომდევნო წლის მაისის თვიდან დავიწყებთ,“ – ამბობს ქარცივაძე.

ამომრჩეველებთან შეხვედრა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. თითოეული მათგანი მოსახლეობის საჭიროებებზე გათვალისწინებულ სამოქმედო გეგმას ადგენს და საკრებულოს წარუდგენს. პრიორიტეტები სწორედ მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით ისაზღვრება. დასაქმების, წყლისა და გზების გარდა ისინი საბავშვო ბაღების მშენებლობაგახსნას ითხოვენ. „ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა დაპირებას ერთდროულად ვერ შევასრულებთ... რაც ცხრა წლის განმავლობაში ვერ შეძლო წინა ხელისუფლებამ, იმას ჩვენ ორი წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, ვერ გავაკეთებთ, თუმცა წინგადადგმული ნაბიჯი ბევრი გვაქვს.“ – ასეთია საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ ქარცივაძის პოზიცია.

გენდერული თანასწორობა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაცული არ არის, მაგრამ არც მარტო კაცების საკრებულო ეთქმის. აქ ერთი ქალბატონია – ფატი ჭაღალიძე, რომელიც იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას ხელმძღვანელობს. ნოდარ ქარცივაძე მიიჩნევს, რომ საკრებულოში ქალების ყოფნა სავალდებულოა: „გვინდოდა მეტი ქალბატონები გვყოლოდა, მაგრამ, როცა კოალიციას დაეთმო კვოტები, ქალბატონების რაოდენობა შეგვიმცირდა. ქალბატონი ფატი სერიოზულად მომზადებულია, იურიდიული კომისიის თავმჯდომარეა, განათლებით პედაგოგი. საკრებულოს წევრებიც სერიოზულად უჭერენ მხარს მის აზრს. ბევრჯერ ქალბატონის რიდითა და ხათრით დათმობაზე წავსულვართ. ამდენად აუცილებელია ქალები იყონ საკრებულოში.“

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე

მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge